ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 7 **1883-1891** 15 აპრილი.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
| --- | --- | --- | --- |
| 12 თთვით . . . | 5 მან. | 12 თთვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით *въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## საჭიროა თუ არა დღეს ჩვენში მღვდელ-მთავრების კრება საეკკლესიო საქმეებისა გამო?

თვით ქრისტეს ეკკლესიის დაარსების დღიდგან, ამ ეკკლესიის საქმეთა დასადგენად, მისი უმთავრესი კითხვების გარდასაწყვეტად, მისი დოღმატების და სწავლის უცვალებელი და უმთავრესი ფორმების შესამუშავებლად ინიშნებოდა კრება მღვდელ-მთავართა და ეკკლესიის მწყემსთა. კრება ორ გვარი იყო: ადგილობითი, ხოლო დრო და დრო მსოფლიო. და ამისთანა გამგეობის მეოხებით უკეთესად მიდიოდა საქმე, ჯეროვანად კმაყოფილდებოდა ადგილობითი და საზოგადო მიზანი, დანიშნულება და საჭიროებანი ეკკლესიისა. ეს ძალიან ადვილი გასაგებია: ეპისკოპოსების და ეკკლესიის მწყემსთა კრებაზე, გამოწვეულს მიმდინარე ცხოვრებისა, ქრისტიანეთა მდგომარეობისა და სასულიერო საჭიროებათაგან, ყოველთვის უფრო საფუძვლიანად და ვრცლად შეეძლო განემარტა აღძრული კითხვები, რადგან კრება იღებდა ყველა საჭირო და სწორს ცნობებს ეკკლესიის წარმომადგენელთაგან და ამიტომ ზომებიც, რომელნიც ამ კრებებზე დგინდებოდა საეკკლესიო საქმეთა წარმოებისათვის, ყოველთვის ნამდვილი დანაყოფიერი რჩებოდა.

მართლაც სულიერი ცხოვრება ეკკლესიის წევრთა, მათი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ინტერესები, საჭიროებანი და მოთხოვნილებანი წარმოგვიდგენენ ძლიერ ვრცელს ასპარეზს მათი სულიერ-ხელმძღვანელთათვის, და ერთ კაცს არ შეუძლია ყველა ამ მოთხოვნილებათა ჯეროვანად დაკმაყოფილება. რამდენათაც მეტია, რამდენათაც ვრცელია ქრისტიანეთა საზოგადოებანი, იმდენად უფრო საძნელოა ეს საქმე და ამიტომ ითხოვს საზოგადო და შესაფერ ზომებს.

თუ დავაკვირდებით საეკკლესიო-საზოგადო ცხოვრებას ზოგიერთს ადგილებში, ცხადათ დარწმუნდებით ზემო ნათქვამის სინამდვილეში. ზოგიერთი საქმეები ეპარქიებში ვერ მიდის სასურველი წარმატებით, თუმცა მღვდელ-მთავრები ყოველ ღონეს ხმარობენ და სახელდობ იმიტომ, რომ ეს საქმეები იმდენად ვრცელნი არიან, რომ აღემატებიან ერთი კაცის გონებას და გამჭრიახობას. სულ სხვა იქმნება მაშინ, რომ მღვდელ-მთავრებს შორის იქმნეს უმეტესი ერთობა, ერთად იკრიბებოდენ თავის აზრთა, სურვილთა და განზრახვათა შესახებ მოსალაპარაკებლად, რომ ისინი დროგამოშვებით მაინც იკრიბებოდენ ერთად სარწმუნოებრივ-ზნეობრივი კითხვების განსახილველად, მათდამი რწმუნებული სამღვდელოების და სამწყსოის გონებითი და ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ მოსალაპარაკებლად და სხვა და სხვა ზომათა განსახორციელებლად მათ განზრახულებათა? მაშინ სამწყსოის და სამღვდელოების მდგომარეობა სხვა და სხვა ადგილს სულ სხვა იქნებოდა: შესამჩნევად იკლებდა ზოგიერთი ნაკლულევანებანი და საგრძნობლად წინ წაიწევდა ეკკლესიის წევრთა მდგომარეობა ყველა შემთხვევაში.

საქართველოს საექსარხოსოში, რომელიც ერთობ დაშორებული საეკკლესიო სამფლობელოა რუსეთის იმპერიაში, და უმეტესად დაშორებულია ცენტრალური სასულიერო გამგეობისაგან, ყველაზე უფრო საჭიროა ასეთი კრება; საექსარხოსოს შეუძლია დიდი სარგებლობა გამოიტანოს ეპისკოპოსის კრებათაგან, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის თავსმჯდომარეობით. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლადი, რომელმაც ერთხელ კიდეც მოახდინა ამგვარი კრება ყაზანში, თავის თავსმჯდომარეობით, გამოცდილია ამ საქმეში და, როგორც კეთილი მწყემსი თავისი ვრცელი სამწყსოისა, კეთილ ინებებს და ამ საქმის შრომას [illegible] თავის თავზე, რომ ამგვარი კრებით სარგებლობა მოუტანოს საექსარხოსოს. ასეთი კრება უნდა იქმნეს დანიშნული ტფილისში, სადაც მოწვეულ უნდა იყვნენ საექსარხოსოის ყველა ეპისკოპოსები და ზოგიერთი გამოცდილნი მწყემსნი თითოეული ეპარქიიდგან.

თითოეულმა ეპისკოპოსმა კარგად უწყის ის პირობანი და გარემოებანი, რომელნიც მას ხელს უშლიან, ანუ ხელს უმართვენ მისი მოღვაწეობის საქმეებში აღსადგენად მისდამი რწმუნებული სამწყსოის სარწმუნოებრივ-ზნეობითი მდგომარეობისა. ამ კრებაზე თითოეული ეპისკოპოსი გამოსთქვამდა თავის გამოცდილებათა და დაკვირვებათა მისდამი რწმუნებული ეპარქიის მკვიდრთა ცხოვრების შესახებ და ამ სახით ძალიან საადვილო იქმნებოდა სხვა და სხვა ზომათა გამონახვა. ამ კრებაზე ძლიერ კარგად და უფრო ვრცლად გაიგებდენ საექსარხოსოის სულიერნი ხელმძღვანელნი ადგილობით მკვიდრთა ზნეობით და სარწმუნოებით ნაკლულევანებათა, სულიერ მწყემსთა სამრევლოებში მოღვაწეობას, გაიგებდენ და შეიტყობდენ, თუ როგორ უცქერის ხალხი მწყემსთა მოღვაწეობას და სხვანი და სხვანი.

ამისთანა კრებათა სარგებლობას ყველანი გრძნობენ და ეს არის, ასე ვსთქვათ, დროის მოთხოვნილებაც. ჩვენ ხშირად მოგვდის საექსარხოსოის სხვა და სხვა კუთხეებიდგან წერილები, რომლებშიაც ავტორები აცხადებენ სურვილს, რომ ყველგან ერთგვარად სრულდებოდეს ყველა საეკკლესიო წესები, დადგენილობანი, დღესასწაული დღეები და რომ სამღვდელოება ერთობით სდევნიდეს ცრუ-მორწმუნეობათა და სხვა სამწუხარო მოვლენათა, რომელთაც ცუდი ზედგავლენა აქვსთ ხალხის სარწმუნოებასა და ზნეობაზე.

დიახ, ამ კრებას შეუძლია უეჭველი სარგებლობა მოუტანოს ეკკლესიას და საზოგადოებას. ამას გვიმტკიცებს სხვათა შორის, მაგალითები საქართველოს ეკკლესიის და სამღვდელოების წარსულის ცხოვრებისა.

დეკ. დავით ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა

როდესაც ჩვენი გამოცემის დაარსება განვიზრახეთ, სხვებში, სხვათა შორის, და უმთავრესად ის გვქონდა, რომ ჩვენი სამღვდელოებისათვის და საზოგადოებისათვის რიგიანი სასულიერო საზრდო მიგვეწოდებია. «ეხლანდელი საერო წოდების ჟურნალ გაზეთები», ვამბობდით ჩვენ მაშინ, ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი სამღვდელოების და მართლ-მადიდებელი ქრისტიანე ხალხის სულიერ მოთხოვნილებას. ამ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იმისთანა რამეებს კითხულობს ხალხი, რომელიც მის სულიერ საზრდოს არ შეადგენს».

ეს სიტყვები დაიჭირეს ამაზედ ზოგიერთმა ჩვენმა «ბრძენმა» ყბაწვრილებმა და ჯვარზე გვაცვეს. ჯვარცმაც არ გვაკმარეს, სხვასაც ბევრს რასმეს გვექადოდენ. ჩვენ მაშინ გამოცემა არ გვქონდა. თავიანთ გამოცემაში მათ ნება არ მოგვცეს პასუხისგებისა: ერთი სიტყვით დაგვიმტკიცეს, რომ სამღვდელოებას და საზოგადოებას საერო გამოცემანი «მშვენიერ და უებარ» სულიერ საზრდოს აძლევსო. ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი გამოცემა, რომელიც, მართლა, «მშვენიერს და უებარს» სულიერ საზრდოს უძღვნის თავიანთ მკითხველებს და განსაკუთრებით თავიანთ მკითხველ სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა. მოგვყავს აქვე შეუცვლელად ამ გაზეთის სიტყვები:

ამ დალოცვილს დიდმარხვას რომ საუბარი შეეძლოს, უთუოდ დიდს სამდურავს შეუთვლიდა და არც წყევლას დააკლებდა მარხვა-ჭამიებს, რომელნიც უფრო ბლომად მოიძებნებიან ქალაქ ადგილებში, მინამ სოფლად. სოფელს ჯერ კიდევ ძველი სული მოსდის და მამა პაპათ ანდერძი არ დაუვიწყნია. ძველად, ხომ იცით, მარხვას დიდის პატივის ცემით ეპყრობოდენ და ეხლაც ისევ დალოცვილი ლობიო, მასოხი, დოლოს საჭამანდი და სხვანი მრავალნი მცენარეული საჭმელები არიან დიდმარხვის პატივსაცემლად დამზადებულნი. ქალაქ ადგილას კი ყველა საზოგადოდ ჩვეულებისაგან აკრძალული საქმე ადვილად ჩასადენია კაცისაგან, ხოლო სოფელში ყველა მალე გაიგებს ავს საქმეს და ავის თვალითაც შეგხედავენ. ამის გამო, სიმართლით უნდა ვსთქვათ, სოფელშიაც ბევრი მალად წმინდაობს, თორემ გაგიხარიან, რომ ისინი, თუ თვალი იცდინეს და ერთი ტუტუცი დასცა საზოგადოების შეხედულებამ, ყველს ჩაიპოხებენ. მე რომ ზოგ-ზოგი მსუნაგი დ აკვანი ვიცი, ის რას არ წაატანს ხელს ღორის ლურთ-ლურთ ნაჭრებს, პატივი მარხვას და უკადრისად მარხულებთან, ინდაურის განჭს, დედლის გვერდებს, ჯამში ჩაბუყბუყებულს ბოზბაშს, რას არ ამოუჯდება გვერდში.

თქვენ გგონიათ მარხვასა არ ეშინიან ამის? არა, ეშინიან, მაგრამ მუცლის ამოძახილი სთრგუნავს ხმას შიშისას და კაწკაწი კბილთა აბათილებს ძალთა სულისასა... რა უყოთ, განა წირვა-ლოცვა კი ეხალისება, მაგრამ მოვალეა ილოცოს; მანამ მარხვა დადგებოდა, იღლიაში ჯოხ ამოჩრილი დასეირნობდა სოფელში, ეგები რასმე სასმელ-საჭმელს, ან სანოვაგეს წავაწყდე და ერთი კარგად გამოვიბრუყოვო და ეხლა, როცა დიდი მარხვა დადგა, თუ არ წავიდა საყდარში, ქისტის კვრით წაიყვანენ, გაისმის მწუხარე ხმა ზარისა და მიდის ისიც საყდარში წელ-მოწყვეტილი, ფეხებს ძლივს მიათრევს და დიდმარხვის ჯავრს ჟამნ-დავითნზე იყრის. გაგიხარიან, ის სხაპა-სხუპით გაუსვამს და ადგილ-ადგილ შეუმაღლებს ხმას შეტყვით-ერთს კი გაიგონებთ: «უფალო» რომ წამოიძახებს გაჯავრებული და შემდეგ გესმისთ მხოლოდ: ფალო, ფალო, ფალო, ფალო. სად არის კაცი და პატრონი უთხრას: «ფალო-კი არა, უფალო, უფალი, დაგიდგეს, შე მსუნაგო, თვალი. წაიკითხე როგორც წესი და რიგია, გაგვაგებინე, რას გვიწერს, რას გვასწავლის უფალი, სულ ბოზბაშისა და ღორის ლურთები ნუ გაგონდებაო».

სათაურად «ამ სულიერ საზრდოს აქვს დასმული: სადიდმარხვო. მშვენიერი სადიდმარხვო საკითხავი რამ არის!! დიახ, დიდ მარხვაში არის სწორედ დრო მღვდლების და დიაკვნების ლანძღვა-გინებისა!!! ამას ითხოვს მათი შრომა, მათი ღვაწლი დიდ მარხვის დღეებში!! სწორედ ასე სცემდენ პატივს და ასე იხსენიებდენ ჩვენი წინაპარნიც თავიანთ სამღვდელოებას!.. შეიძლება ერთ გაზეთის მწერალს, ერთ თანამშრომელს გაუქრა გულში პატიოსნების და ზრდილობის გრძნობა, მაგრამ რედაქციას არა აქვს უფლება ამ ერთი კაცის გაქვავებული გულის გრძნობა და აზრი სამღვდელოებაზე მთელ საზოგადოებას დაუდვას წინ საკითხავად...

ყოველი ამისთანა საწყალი და საცოდავი მწერალი თავის ალაგზედ ზომავს სხვებს, თავის გონებისა და კუჭის მოთხოვნილების გრძნობებით სჯის საზოგადოდ სხვების გრძნობაზედაც. «სოფლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაკვნები და მღვდლები რატომ ინახვენ მარხვას», ბრძანებს ეს ჩვენი სადიდმარხვოს მწერალი? იმიტომ რომ სხვისა ეშინიათ, თორემ, გაქვს ღვთის წყალობა, ისინი ჩაბუყუყუკბულს ბოზბაშს მიირთმევენ... დიაღ, მიხვდა ეს ჩვენი სადიდმარხვოების მწერალი საიდუმლოს?!.

* * *

იმაზედ ცუდი არაფერი არ არის, როდესაც კაცი, რომელიც მისგან გაუგებარ საგნებზედ მსჯელობას დაიწყებს, აქაო და იმისთვის, რომ ყველა საგნებზედ შემიძლია მსჯელობაო. ვსთქვათ, მაგალითად, დაიწყეს აქა-იქ ჟურნალ გაზეთებში წერა მისსიონერობაზედ, მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გავრცელებაზე. აიღებენ კალამს ხელშიდ და ერთი ქაპან-წყვეტით ამტკიცებენ მისსიონერობის მოვალეობას, რჩევას იძლევიან, თუ როგორ უნდა მოქმედებდნენ მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გავრცელებისათვის ურწმუნო ხალხთა შორის. ამას წინეთ კითხვა იყო აღძრული საექსარხოსოში მისსიონერობის დანიშნვის და მოქმედების შესახებ. აიღო ერთმა მწერალმა ბ. პ. უ—მა კალამი ხელში და ერთი უშველებელი და გაუთავებელი სტატია დასწერა იმის შესახებ, რომ მართებლობა და სამღვდელოება ფულებს არ უნდა ხარჯავდეს ქართველთ გათათრებულთ მოქცევისათვის, რადგან მათი მოქცევა ყოვლად შეუძლებელიაო. ჩვენ ამ გათათრებულ ქართველებს გაქრისტიანებით ვერ შევიერთებთ, და ან კი რა საჭიროა მათი გაქრისტიანებაო, კაცი, თუ პატიოსანი და სინიდისიანი არის, რომელიც სურს, ის სარწმუნოება აღირჩიოსო... თუ მაინცა და მაინც ვისურვებთ იმათ შემოერთებას და გაქრისტიანებას, მიუცილებლი საჭირო არის მიენიჭოს უფლება, მარშლების აღრჩევისა და, სკოლები დაუარსოთ და სწავლება ამ სკოლებში მათ გასაგებ ენაზედ უნდა სწარმოებდესო...

აი, მშვენიერი მოსაზრება: კაცი პატიოსანი და სინიდისიანი იყავი და თუ გინდ ბუდდას სწავლა და სარწმუნოება აღიარე. რა საჭიროა მაინცა და მაინც, რომ ქრისტიანი იყო! სკოლების დაარსებაზედ არაფერს ვიტყვით და მარშლების არჩევის ნება თუ მისცეს, სწორეთ მაშინ გაკეთდება საქმე!..

აგერ წინაზედ ჩვენ გადავათვალიერეთ ერთი ერის კაცის ი. მ—იას ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ბათუმისა და ართვინის შემოერთებულ მხარეებში და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ამ ხალხის გაქრისტიანებისათვის. ამ ვრცელ მოხსენებას რომ წაიკითხავთ, გაოცდებით სხვა და სხვა ახირებული და ერთმანეთის წინააღმდეგი მოსაზრებით.

ამ «მისსიონერის» გამოკვლევაში, სხვათა შორის, ჩვენ ვკითხულობთ ვრცელ ისტორიულ მოთხრობას, თუ რა და რა ზომას ხმარობდენ მოსლემანნი ამ ქართველების გათათრებისათვის. დაწვრილებით არის მოთხრობილი, თუ როგორ ჩამოაცვამდნენ სარებზედ და როგორ გააგდებინებდნენ თავებს, ვინც არ დასტოვებდა ქრისტიანობას და არ გათათრდებოდა. ვერ გაგვიგია ვისთვის და რისთვის მოჰყავს ამ «მისსიონერს» ეს „ამბავი?“ ეხლა ხომ არ შეიძლება ამისთანა ზომების ხმარება მათ გასაქრისტიანებლად!...

„ბათუმის და ართვინის მხარეებში განაგრძობს ქვევით მღვდლების მისსიონერად გაგზავნა არ შეიძლება, რადგან ნამეტნავად ეზარებათ აქ მღვდლების შეხედვა და შეიძლება კიდევაც დახოცონ ისინიო. აქ საჭიროა ოთხ ადგილას შეაკეთონ ძველი შესანიშნავი ტაძრები. თითო ტაძრის გაკეთებას მოუნდება ათი ათასი მანეთი და სულ ორმოცი ათასი მანეთი. ამ ტაძრებთან უნდა დაარსდეს საავად-მყოფოები, რომელშიაც უნდა იყონ დანიშნულნი მღვდლები—ექიმები. თითოეულ ეკკლესიაზედ კრებულს უნდა დაენიშნოს ათი ათასი მანეთი და სულ ორმოცი ათასი. თუ უფულობისა გამო ეს შეუძლებელი საქმე იქნება, მაშინ ეს ეკკლესიები უნდა მიეცეს რუსეთის შეძლებულ მონასტრებს «პოდვორიებათ». ისინი ადვილად გააკეთებენ აქ «პოდვორიებს» და სარწმუნოების გავრცელების საქმესაც კარგათ წაიყვანენ»...

მორჩა და გათავდა! მეტი ზომები საჭირო აღარ არის! ვერ გაგვიგია ამ ძალიათ მისსიონერის მოსაზრებანიც. ერთ ადგილას ამბობს: მღვდლები სძულთ ამ ქვეყანაში და ცოცხალს არ გაუშვებენო; მეორე

ადგილას გვირჩევს, თითო კრებულს განახლებულ ეკკლესიებთან ათი ათასი მანათი დაუნიშნონო და აქაური მღვდლები უთუოდ ექიმებთაგანი უნდა იყვნენო. თუ ცოცხალს არ გაუშვებენ, რა საჭიროა მღვდლის დანიშვნა, თუ გინდ ექიმიც რომ იყოს?..

ამ ბატონს გონია, რომ აქ თუ მონასტრის „პოდვორიები“ გაიხსნა, იმითი მოიქცევა აქაურნი მკვიდრნი სარწმუნოებაზედ. როგორც ჰგავს ამ ჩვენ გამოჩენილ მისსიონერს «პოდვორიების» დანიშნულება სრულებით არ სცოდნებია. ათონის მონასტრებს პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებშიაც ბევრი «პოდვორიები» აქვსთ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამ პოდვორიების საშუალებით ქრისტიანობა გაავრცელონ ამ ქალაქებში, არამედ შეწირულება შეაგროვონ და გაგზავნონ დანიშნულებისამებრ თავთავიანთ მონასტრებში. ბათუმისა და ართვინის მცხოვრებთაგან რა შეწირულება უნდა შეჰკრიბონ ამ „პოდვორიებმა?!!“

* * *

იმისთანა ერის კაცებს, რომელთა მსჯელობა მისსიონერობის საქმეებზე ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, რასაკვირველია, მიეტევება. იმისთანა კაცს ვინ დაემდურება ქრისტეს სარწმუნოების გავრცელების საქმის შესახებ ცოტა მრუდე მსჯელობისათვის, რომელიც თვითონაც არ არის მტკიცედ დამყარებული ქრისტიანობაზე, მაგრამ, სამწუხაროა, როდესაც კითხულობ შეუფერებელ მსჯელობას ქრისტიანობის გავრცელების შესახებ რომელიმე ხალხში იმისთანა პირებისაგან, რომელნიც მოწოდებულნი არიან მისსიონერების ასაზრდელად. წარსული წლის 14 ოკტომბერს არდონის სასულიერო სასწავლებელმა იდღესასწაულა სამი წლის არსებობა. ამ დღესასწაულობაზედ წაკითხული იყო ანგარიში 1887, 1888 და 1889 წლებისა.

მოგვყავს სიტყვა-სიტყვით რამდენიმე ადგილი ამ ანგარიშიდგან:

«ოსების სოფლები შესდგებიან რამოდენიმე ოჯახისაგან. ეს სოფლები გაფანტულნი არიან მთების მაღლობ ადგილებზე და ფერდობებზე. ზოგი სოფლები კი ვაკე ადგილებზე მდებარეობენ. თითოეულს სამრევლოს შეადგენს რამდენიმე ამისთანა სოფელი. ამ სოფლებ შუა ძალიან ცუდი გზებია. მათზე მოგზაურობა უშიშრად შეიძლება მხოლოდ ზაფხულობით, მაგრამ ზამთარში და შემოდგომაზე, განსაკუთრებით წვიმიანობის დროს, ამ გზებზე გავლა საძნელოა როგორც ფეხით, ისე ცხენით. თითოეული სოფლის მკვიდრი განმარტოებით სცხოვრებს. აქაურები თითქმის ველურ ხალხს ემსგავსებიან ზნით და ჩვეულებით. მათში ძალიან გავრცელებულია სხვა და სხვა ცრუ-მორწმუნეობა. სარწმუნოების მხრით ორ ნაწილად განიყოფებიან. ერთი ნაწილი აღიარებს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, ხოლო მეორე აღიარებს მაჰმადის აღსარებას. მაგრამ ქრისტიანე ოსებიც კი ძალიან ცოტათი განირჩევიან კერპთ-თაყვანის მცემელთა და მოსლემანთაგან. იგინი მართლ-მადიდებელ სარწმუნოებასთან ერთად ასრულებენ კერპთ-თაყვანისმცემლობის მრავალ ჩვეულებათა და კერპურ უქმე დღეებს უფრო ინახვენ, ვინემ მართლ-მადიდებელი ეკკლესიისაგან დაგენილ კვირა-უქმ დღეებს. მათში ძალიან გავრცელებულია გარდაცვალებულთა სულის თაყვანის-ცემა. მოხუცებულნი, ბავშვები და ქალები მოიყრიან თავს სადმე მაღლობ ადგილზე ძველი ხების ქვეშ, ან მინდორზე, სადაც შეგროვებულია ქვები, აქ მოიყვანენ სამსხვერპლო ცხოველებს, მოიტანენ სასმელ-საჭმელს. მოხუცებულები ასრულებენ მსხვერპლის შეწირვის წესს და მერე იწყებენ ქეიფს.

ხშირად მიცვალებულებს უმღვდლოდ ასაფლავებენ; მიცვალებულს უსათუოდ ქუდი უნდა ეხუროს თავზე დამარხვის დროს, ქალები სტირიან, ჰყვირიან, თავზე თმას იგლეჯენ, იპოტნიან პირის სახეს, მამაკაცებიც ხანდისხან საზარელ ჟრიამულს ასტეხენ ხოლმე. დასაფლავების შემდეგ იწყება ალაპები, რომლების გადახდის დროს დიდ ვალებში ვარდება ჭირისუფალი

ოსებში დღემდისაც გავრცელებულია ოთხი-ხუთი წლის ყმაწვილების და ქალების დანიშვნა, როცა ათი-თერთმეტი წლისა შეიქმნებიან, ფარულად აქეზებენ ყმაწვილებს, რომ მათ ჯვარი დაიწერონ. ასეთი ძალდატანებული ჯვარის წერას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვება ხოლმე. ხშირად ქმარი აგდებს ცოლს და ხასას იჯენს, ან ცოლი ტოვებს ქმარს და სხვას ხასად უჯდება.

ტაძარში ოსები ძალიან ძვირად დადიან და როცა მოვლენ, ისიც შემთხვევით; მღვდელს მიჰმართვენ ხოლმე უკიდურეს შემთხვევაში და მაშინაც არა სულიერი მოთხოვნილებისა გამო, არამედ გარეგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზთა და გარემოებათა იძულებით, უმთავრესად შიშისა გამო, რომ ისინი არ დაისჯონ საეკლესიო დადგენილობათა აღუსრულებლობისათვის. ჰყავთ ჯვარ-დაუწერელი ცოლები. ხშირად ერთს კაცს რამოდენიმე ცოლი ჰყავს; დიდ ხანამდის სტოვებენ შვილებს უნათლავად; ხშირად მღვდელი თვითონ დადის სოფლად და ეძებს მოუნათლავ ბავშვებს. ოსები ძალიან ძვირად ამბობენ აღსარებას და ზიარობენ; და როდესაც ზიარობენ, ისიც მღვდლის ძალა-დატანებით და არა სულიერი და სინიდისის მოთხოვნილებისა გამო. ყოველივე ეს არ შეიძლება არ მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ოსებში უმეტესად მღვდლებად ქართველი არიან. ამ სამღვდელოებამ სუსტად იცის ოსური ენა და თავისუფლად არ შეუძლიან ესაუბროს თავის სამწყსოს. ღვთის-მსახურება სრულდება ქართულს ენაზე, რომელიც ოსებს არ ესმისთ. თუმცა ზოგიერთი ღვთის მსახურების წიგნები გადათარგმნილნი არიან ოსურს ენაზე, მაგრამ მღვდლები ვერ კითხულობენ, თუმცა ზოგიერთმა ლაპარაკი კი იცის. ამიტომ ვერ ახერხებენ ოსურს ენაზე ღვთის-მსახურების შესრულებას, რუსული საეკლესიო წიგნების ხეირიანი კითხვაც ძალიან სუსტად იცის აქაური სამღვდელოების უმეტესმა ნაწილმა. ასეთ სამღვდელოებას, რასაკვირველია, არ შეუძლია სანატრელი ზედგავლენა იქონიოს ხალხზე, კიდეც რომ ძალიან ჰსურდეს.

ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ ოსებში ინიშნებოდენ მღვდლად უფრო განათლებულნი პირნი და განსაკუთრებით ადგილობითი მკვიდრთაგანნი».

ახირებული მოსაზრება არის გატარებული მთელს ამ ანგარიშში. „ოსეთში თუ ამდენი ხანი ქრისტიანობა მტკიცედ არ დამყარდა, ამბობს ანგარიშის შემადგენელი, იმის ბრალია, რომ ქართველმა მღვდლებმა ოსური არ იციან და სლავიანურად კარგად ვერ კითხულობენ წიგნებსაო“. მარტო არდონის სასწავლებლის კურს შესრულებულნი უნდა იყვნენ მისიონერებად, რადგან სემინარიელებსაც, თუ გინდ ოსთაგანებს, ისინი აჯობებენო. ეს სიტყვები ძლიერ უსაფუძვლოდ არის გამოთქმული. არასოდეს არ შეგვიძლია დაუჯეროთ მ. იოანეს, და არდონის სასწავლებლის კურს დასრულებულთ უპირატესობა მივსცეთ სემინარიელებზე. ოსეთში თბილისის სასულიერო სემინარიაში კურს დასრულებულნი ოსთაგანები მრავალნი არიან, ქართველ მა მღვდლებმაც იციან ოსური ენა; მაშასადამე მ. იოანესაგან მოყვანილი მიზეზები და ბრალი ეხლანდელ მისიონერებზე საფუძვლიანი არ არის. საქართველოს სამღვდელოების ღვაწლი მისიონერობის ასპარეზზე ოსეთში ასე დასამდაბლებელი არ არის. რა შუაშია ქართველი მღვდლები, ოსებმა რომ თავიანთი ძველი მამაპაპური ჩვეულებისამებრ, ქელეხები არ მოიშალონ და ტირილზე პირი დაიფხაჭნონ და ან ეკკლესიაში ნიადაგ და ერთგულად არ იარონ. განა ცოტაა თვით შუაგულ რუსეთში ამისთანა კერპთაყვანისცემლური ამაოდ-მორწმუნეობანი? მღვდლებმა რომ კარგად სლავიანური წიგნების კითხვა არ იციან და კარგად არ ქადაგობენო, მონათლული ოსები ადვილად სტოვებენ თავიანთ ეკკლესიებს და მღვდლებს და ისევ თათრდებიანო. აქ სულ სხვა მიზეზებია და მარტო მისიონერ მღვდელს არ დაბრალდება ეს გულ გრილობა ახალ მოქცეულთა. ნუ თუ რუსეთში კარგად არ ასრულებენ მღვდლები წირვა-ლოცვას და სლავიანურ წიგნებს რიგიანად არ კითხულობენ, რომ იქ ზოგიერთ ადგილას ასე ადვილად სტოვებენ თავიანთ მღვდლებს, ეკკლესიებს და სხვა-და-სხვა „სექტანტობას» იღებენ?.. ნუ თუ არ იცის მ. იოანნემ, როგორი მუყაითად ებრძვიან ამისთანა სამწუხარო მოვლენას რუსეთში? რა დიდი საკვირველია, რომ ოსეთში ისევ თათრობა მიიღოს მონათლულმა, სადაც ერთ ოჯახში თათრებიც არიან და გაქრისტიანებულებიც.

ანგარიშში მოყვანილი სამწუხარო მოვლენანი სულ სხვა მიზეზებს მიეწერება და არა მარტო ქართველი მღვდლების სლავიანური წიგნების უცოდინარობას! ჩვენი მისიონერობის საქმეს სხვა უფრო დიდი მიზეზი აბრკოლებს და არა ანგარიშში დასახელებულნი. ერთსა და იმავე დროს გვინდა ორი დიდი საქმის გაკეთება, მაგრამ ჯერედ კიდევ ვერ მიმხვდარვართ, რომ ორი საქმის გაკეთება ერთ დროს არ შეიძლება. ამიტომაც ერთი ოსის, ერთი აფხაზის თათრის მოქცევა თითქმის ათას მანეთად გვიჯდება და ბოლოს ისიც ხელიდამ გვისხლტება... დიახ, დიდი ფიქრი მართებს კაცს, რომ მისიონერობის საქმეზე ნამდვილი, მართალი სთქვას და არ შესცდეს...

სოფლის მღვდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორიოდე სიტყვა ზოგიერთ შტატ გარეთ დარჩენილი მღვდლების საქციელზე.

ამ ჟამად სასულიერო წოდებაში ბლომად იპოვებიან შტატ-გარეთი მღვდელნი. ესენი განიყოფებიან ორ დასად: პირველ დასს ეკუთვნიან ის სულიერნი მამანი, რომელთაც 35 წლის სამსახურისათვის ეძლევათ პენსია და სცხოვრობენ მყუდროთ. მეორე დასს შეადგენენ ის მღვდელნი, რომელთაც თავისი უნიჭო სამსახურისა და არა კეთილის ყოფა-ქცევისა გამო სიყმაწვილითვე დაუკარგავსთ სამსახურიც და პენსიაც. ეს უკანასკნელნი, რადგან მათ ხარისხი მღვდელმობისა არა აქვსთ ახდილი, სარგებლობენ ამით და ხშირად უსაქციელობასაც ჩადიან სხვა და სხვა მრევლში. იგინი ასრულებენ ფარულად იმისთანა მღვდელ-მოქმედებას, რომელთა აღსრულება შტატის მღვდელთაგან კანონით ყოვლად შეუძლებელია და მასთან აგროვებენ მოტყუებით შეწირულებას. ერთი ამისთანა მოძღვარი დიდის ხნიდამ სუფევს ჩვენს რაჭაში. ეს გახლავსთ ყველასაგან ცნობილი მღვ. ქ—რე შ—ძე. «ვერიდებოდი ბოროტსაო, დამხვდა სოფლის ბოლოსაო», რომ იტყვიან ანდაზათ, სწორედ მეც ისე დამემართა. დიდი ხანია ვშიშობდი და ვერიდებოდი მ. ქ—რეს შემობრძანებას ჩემს მრევლში; მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ გადურჩი! ამ წლის იანვრის თთვეში მამა შ—ძემ ჩემს მრევლშიაც შემოდგა ფეხი თავისი მოძრავის ტაძრით საიდუმლო ქორწინების ასასრულებლად. საქმე რაშია, მოგახსენებთ: ერთი ჩემი სამრევლოთაგანი სოფელს ღებს მცხოვრები გლეხი იყო დანიშნული იმავე სოფლის გლეხის ასულზე. წარსული წლის ოქტომბრის თთვეში სამგზის გამოცხადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხსენებული გლეხი თავის აღრჩეულ საძლოსთან არის მეოთხე მოდგმის ნათესავი. ვინაიდგან არ მქონდა უფლება ამ გვარი ნათესაობის გახსნისა, ამისათვის გლეხს განუცხადე უარი ჯვარის-წერაზე. გლეხმა ორ გზის მიმართა თხოვნით ყოვლად სამღვდელოს, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს, რომ მათ მეუფებას ნება მიეცა ჯვარის წერისა, მაგრამ ორ გზითვე მათი მეუფებისაგან უარი ებრძანა გლეხს. მეგონა დანიშნულები ერთმანერთზე ხელს აიღებდენ და გათვისდებოდენ, მაგრამ მოვსტყუვდი. თერმე სასიძოს ჩააგონეს და უთხრეს: «ბიჭო, რა ძალიან შორს მიდიხარ, არ გაგიგონია არაკად: ვისმეს ოქრო შინ ეთხრებოდა და იერუსალიმეთს მიდიოდაო", ჩადი ქვემო რაჭაში, შ — ძე ხუცესი მოიყვანე და, როგორც გინდა, ისე დაგწერს ჯვარს. გავიგე თუ არა სასიძოს განზრახვა, მე ვსთხოვე ღების მამასახლისს, უკეთუ ვინმე მღვდელთაგანი მოვიდოდა ჩემს მრევლში ხსენებული გლეხის ჯვარის საწერად, უსათუოდ ჩემთვის ეცნობებია. მამასახლისმა აღმითქვა აღსრულება ჩემის თხოვნისა, მაგრამ მომატყუა. ჩემდა სამწუხაროდ და სასძლოს საბედნიეროდ იანვრის მიწურულებში ავადგავხდი. ჩემს ავად-მყოფობაში სასძლოს ნათესავებს მოეყვანათ მ. შ—ძე და 29 იანვარს, შეაღამის დროს ცის ქვეშ, სასაფლაოზე დაეწერა ჯვარი სასიძოსათვის. ეს გარემოება დაუყოვნებლივ მოვახსენე რაპორტით ადგილობით ბლაღოჩინს. ორი კვირის შემდეგ შემთხვევით მობრძანდა ჩემს მრევლში ბლაღოჩინიც. ჩემი მოხსენების სიმართლის აღსადგენათ მათ შ—ძისაგან ჯვარდაწერილი ცოლქმარი დაიბარეს სასოფლო კანცელარიაში გარემოების გამოსაკითხავად. დეკანოზმა ჰკითხა სასიძოს: „ვინ დაგწერა ჯვარი?

— შ—ძე ხუცესმა.

— სად, რომელ ეკკლესიაში?..

— სასაფლაოზე, ბატონო.

— რა მიეცი ჯვარის საწერი?

— ხუთი თუმანი.

— რატომ შენს მღვდელს არ დააწერინე ჯვარი?

— არ დამწერა, ბატონო.

— მიზეზი რა იყო, რომ ჯვარი არ დაგწერა?

— რა ვიცი, ბატონო, ნათესავები ხართო და მე არასფერი ნათესავი არა ვარ ჩემის ცოლისა.

— ყოვლად სამღვდელოს სთხოვე ნება?

— კი.

— მერე?

— მერე და იმანაც უარი მიბძანა.

— რა საბუთი გაქვს, რომ შენ შ—ძე მღვდელმა ჯვარი დაგწერა?

— ქაღალდი მაქვს, ბატონო.

— მიჩვენე რა ქაღალდი გაქვს.

გლეხმა ამოიღო უბიდამ გაცვეთილ ქაღალდზე დაწერილი სიგელი და მიართვა ბლაღოჩინს. აი შინაარსი ამ ახალი ობისკისა:

„1891 წელსა იანვრის 29-სა დღესა მე ქვემორე ამისა ხელის მომწერმა მღვდელმა ქ—რე შ—ძემ დავსწერე ჯვარი სოფელსა ღებს მცხოვრებს გლეხს ვასილ დათიკას ძეს გობეჯიშვილს ამავე სოფლის აწ გარდაცვალებულის გლეხის მახარა თვალიას ძის გავაშელი შვილის ასულს ეკატერინეზე». ადგილს, სადაც ჯვარის-წერა აღსრულებია, ქ—რე თავის ობისკაში არ იხსენიებს.

— «შემცდარხარ, შვილო, უთხრა ბლაღოჩინმა გლეხს, თორემ შენი მღვდელიც ჯვარს დაგწერდა და ყოვლად სამღვდელოც ნებას მოგცემდა, რომ მართლაც ახლო ნათესავები არ ყოფილიყოთ. შ—ძის ჯვარის წერას როგორც დაყენებული მღვდლისას, ჩვენ კანონიერ ჯვარის წერად ვერ ვსცნობთ და ამისათვის, ჩემის აზრით, კანონმა უნდა გაგაშოროსთ ერთმანეთს ცოლქმარნი».

«ბევრისთვინ დაუწერია შ—ძე ხუცესს ჯვარი; ჯერ ისინი გააშოროს კანონმა და მერე ჩვენო» უპასუხა გლეხმა.

მართლაც რომ მ. ქ—რეს ბევრს ამგვარებისათვის დაუწერია ჯვარი. ამიტომ სასურველია, რომ სასულიერო მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ მღვდლის უკანონო მოქმედებას და ღირსეულად დასაჯოს იგი, რომ მისი მოქმედებით მართლ-მადიდებელ უმეცარ-ხალხში ნათესაობა და კეთილ-ზნეობა არ დაეცეს.

მღვ. მ. გა—შელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორიოდე სიტყვა სოფლის ტაბაკინის სამრევლო სკოლის მასწავლებლის მაქსიმე სპირიდონის ძის ფერაძის გარდაცვალების შესახებ.

წარსული თვის მარტის 14 რიცხვს შეუბრალებელმა სიკვდილმა უდროვოდ გამოათხოვა წუთის სოფლის ცხოვრებას სოფლის ტაბაკინის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მაქსიმე სპირიდონის ძე, რომელიც ამავე სოფლის ეკკლესიაზედ იყო განწესებული მეორე მედავითნედ. განსვენებულს ქუთაისის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში ჰქონდა კურსი შესრულებული. დღიდგან მისი მასწავლებლად დანიშვნისა ზემოხსენებულს სკოლაში ოთხის წლის განმავლობაში განსვენებულმა დიდი სარგებლობა მოუტანა სოფ. ტაბაკინის მკვიდრთა. ს. ტაბაკინში წინა დროებში ხუთი ოჯახი არ მოიპოვებოდა ისეთი, სადაც წერა-კითხვის მცოდნე პირი ყოფილიყო და დღეს კი განსვენებულის მეცადინეობით ერთი ოჯახიც არ მოიპოვება ისეთი, რომ ახალგაზდა ყმაწვილებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ.

წარსული წლის ნოემბრის თვის 3-ს, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ს. ტაბაკინში მყოფობის დროს გამოსცადა მისი სკოლის მოწაფეები. მოწაფეებმა რიგიანად და გაბედულად მიუგეს ყოვლად სამღვდელოს ყველა კითხვებზე.

განსვენებულს მათი მეუფება ჰპირდებოდა მოკლე დროში მთავარ-დიაკვნად ხელ-დასხმას, მაგრამ მეტმა მუყაითობამ და შაგირდებთან ერთგულმა მეცადინობამ მას გული წაუხდინა, და ყოველივე მის წადილს ბოლო მოუღო. განსვენებულის დასაფლავების დღეს დიდძალი ხალხი შეიკრიბა საბრალო ქირისუფლების სანუგეშოდ. ყველას დიდი მწუხარება ეტყობოდა; ბევრგან ხალხი მიცვალებულის განსვენებაზედ არამც თუ ქირისუფლის სანუგეშოდ—არამედ დროების გასატარებლად მიეშურება; მაგრამ აქ კი თითქმის სადილის საჭმელადაც აღარ ჯდებოდნენ. განსვენებულს დარჩა ცოლი და ორი პატარა შვილი, ერთი 4 და მეორე 1 წლისა. განსვენებულის ოჯახის სანუგეშოდ, იმედია, სასულიერო მთავრობა, რომელიც მამაა ობოლთა და მქვრივთა, ჯეროვნად დააჯილდოებს განსვენებულის ოთხის წლის განმავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]ობაში სკოლაში და ეკკლესიაში სამსახურს და ერთგულ შრომას და რაიმე შემწეობას აღმოუჩენს საბრალო მქვრივ-ობლებს.

განსვენებულის წესის აგების შემდეგ ადგილობითი მღვდელმა წარმოსთქვა შემდეგი მოკლე სიტყვა:

ვგონებ დღეს მთელს ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელიც არ გრძნობდეს მძიმე მწუხარებას, მხედველი შენი კუბოსი. არა მარტო საბრალო შენი ცოლშვილი, შენი მშობლები და ნათესავნი სწუხრან შენს დაკარგვას არამედ ყველანი, რომელნიც გიცნობდნენ და გაგონილი ჰქონდათ შენი გულკეთილობა და წყნარი ხასიათი.

მართლაც ვინ არ შესწუხდება, ძმაო, ასე უდროვოდ შენის დაკარგვისათვის! ვინ იცის, როგორი ნაყოფიერი და სასარგებლო იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის შენი მოღვაწეობა, რომელზედაც შენ მუდამ ფიქრობდი და რომელსაც ბოლოს შენი სიცოცხლეც შესწირე.

თითქმის ყოველი კაცის გარდაცვალება ჩვენთვის სამწუხაროა, ყოველი მიცვალებულის ნახვა თავ-ზარს გვცემს, უზომოთ გულს გვიკლავს, ჰბადავს ჩვენში მწარე ფიქრებს და თვალიდგან ცხარე ცრემლებს გვაყრევინებს, მაგრამ განსაკუთრებით სამწუხაროა და გულის მომკვლელია ახალ-გაზდა კაცის სიკვდილი. დღემდის დამტკბარნი შენის კეთილის ხასიათით, გულკეთილობით და ძმურის თანაგრძნობით, დღეს გხედავთ შენ წინაშე ჩვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარეს ვიწრო კუბოში.

ვინ არ იტირებს, ძმაო, და ცრემლებს არ დაღვრის, მხედველი შენი პატარა შვილებისა, რომლებიც სამი ოთხი დღეა ჩუმ ჩუმათ, მორიდებით, დაკვირვებით და მოწყენილი სახით გადახედავდენ ხოლმე შენს გვამს, უძრავად მდებარეს და დღეის იქით თვალითაც ვეღარ შეგხედვენ და ვეღარც დაგივიწყებენ. საბრალო შენი ცოლი და შენი მშობლები, რომელნიც შენგან მოელოდნენ ყოველ გვარ ნუგეშს, სიხარულს და შემწეობას ცხოვრებაში, დღეს შეუბრალებელმა სიკვდილმა გულ-დახშულნი დასტოვა. რით უნდა ვანუგეშოთ ჩვენ იგინი? ნუგეშათ მათდა საკმაოა შენი კეთილი თვისებანი: სიმშვიდე, სიწყნარე და სიყვარული ღვთისადმი და ისა, რომ თუმცა ხორციელად დღეიდგან შენ მათთან აღარ იქნები, მაგრამ სულიერი კავშირი კი თქვენში განუყრელი იქნება. ნუ სწუხარ, ძმაო, სიკვდილისათვის! იგი ყოველი კაცის ხვედრია; თითონაც ბევრჯელ გითქვამს, ძმაო, და მეც კიდევ გაგიმეორებ, რომ იგი ნიშნავს გადასახლებას ზეციურს სამშობლოში, ხოლო ქვეყნიური ცხოვრება ჩვენი არის მხოლოდ მოგზაურობა ამ ქვეყანაზედ. სიკვდილი ხშირად მაშინ გვეწვევა, როდესაც ჩვენ მას სრულებით არ მოველით.

მართალია, ძმაო, შენ უწყალოდ და უზომოდ იტანჯებოდი სულით და გულით სულ-ხორცის განშორების დროს და ნახევრად გამოხელილი თვალებიდგან აფრქვევდი ცრემლებს შენი ორი პატარა შვილისა და საბრალო ცოლის მოშორებისათვის, მაგრამ არ იფიქრო, ძმაო, რომ შენი ცოლშვილი ისე მოიძულოს [illegible] როგორც გაგიგონია ზოგიერთი მქვრივ-ობლების ტანჯვა და გასაწყლება.

მშვიდობით, ძმაო; აწ შენ უნდა წარსდგე იქ, სადაც განისვენებენ მამანი და ძმანი ჩვენნი. აწ შენ უნდა მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ იმ ეკკლესიამ, რომლის აღშენებას შენ მოუთმენლად მოელოდი და გეხალისებოდა. აწ შენი სახელი უნდა ვახსენოთ ხოლმე იმ საწიგნეზედ, სადაც შენ კითხვას ნატრულობდი ხოლმე, მაგრამ აღარ გეღირსა. რა სწავლა-დარიგება უნდა გამოვიტანოთ, ძმაო, შენი კუბოს ახლო დგომამ? რას გვასწავლის შენი კუბო ჩვენ?

— იმას, რომ ჩვენ მუდამ ვემზადებოდეთ გასვლისათვის ამა ქვეყნიდგან; ვემზადებოდეთ კეთილი საქმით, წმინდა ცხოვრებით, მუდამ ღვთის ვედრებით და ხშირად ღვთის ტაძარში გულის ხმიერად დგომით, რომ უშიშრად წარვსდგეთ ქრისტეს წინაშე. შენი კუბო გვასწავლის, ძმაო, რომ «ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე ხორციელი; მიწად და ნაცრად გარდავიქცევით». იგი გვასწავლის, რათა განვიდოთ ამა სოფლიდგან დატვირთულნი კეთილი საქმისა, რომელიც ლამპრად უნდა მიგვიძღოდეს წინ მოგზაურობის დროს ზეცისადმი.

მშვიდობით, ძმაო, უკანასკნელად უნდა გამოგეთხოვოთ და ვეამბოროთ შენს გაციებულს გვამს და მასთან ვევედროთ ღმერთს, რათა მან დაგამკვიდროს იქ, სადაც «არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არამედ სიხარული და ცხოვრება დაუსრულებელი.

## ახალი მღვდელ-მთავარი სუხუმისა ყოვლად სამღვდელო აგაფოდორი.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სუხუმის ეპისკოპოსად დაინიშნა ყოვლად სამღვდელო აგაფოდორი. ყოვლად სამღვდელო ერის კაცობაში პავლე ფლეგონტოვის ძე პრე ბრაჟენსკი არის იაროსლავის გუბერნიიდგან. იგი არის მედავითნის შვილი. პავლე 6 კვირისა იყო, როცა დაობლდა. პირველად იგი მისცეს სასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში; აქედგან, კურსის გათავების შემდეგ, პავლე შევიდა იაროსლავის სასულიერო სემინარიაში, სადაც დაამთავრა სწავლა 1860 წელში სტუდენტის ხარისხით. იმავე წელში პავლე ეკურთხა მღვდლად. სამი წლის შემდეგ ახალგაზდა მღვდელს მოუკვდა ცოლი და შვილები. ამ უბედურების შემდეგ მ. პავლეს სასულიერო აკადემიაში უნდოდა შესვლა, მაგრამ ისე უყვარდა თავისი სამსახური, რომ ეს აზრი მიატოვა და უფრო მეტიათად მოეკიდა თავისი სამსახურის

ასრულებას. თავის სამრევლოში მან დაარსა ორი სკოლა ვაჟებისა და ქალებისათვის და ამ ორივე სკოლას იგი თავის ხარჯით ინახავდა. ამასთან მ. პავლე დიდის ბეჯითობით ჰქადაგებდა თავის სამრევლოში. მისი მოღვაწეობის ნაყოფია «საუბრები ქრისტეს სარწმუნოებაზე, სასოებაზე და სიყვარულზე», რომელიც ორ გამოცემად არის დაბეჭდილი. მანვე შეადგინა საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც იხმარებოდა დასაწყის სასწავლებლებში. შემდეგ იგი დაინიშნა ბლაღოჩინად და სკოლების მეთვალ-ყურედ მიშინსკის მაზრაში. თავის გამჭრიახობით მ. პავლემ კარგს გზაზე დააყენა სწავლის საქმე მისდამი რწმუნებულ სკოლებში. 1884 წელში მ. პავლემ მიიღო დეკანოზობა და დანიშნულ იქმნა მიმკინის საკრებულო ტაძრის წინამძღვრად. მაგრამ აქ მ. პავლეს დიდხანს არ უმსახურნია. 1887 წელში მ. პავლე მივიდა პეტერბურგში, სადაც ის მიწვეულ იქმნა უწმიდესი სინოდის სამასწავლებლო რჩევის კრებაზე. მ. პავლეს მოხსენებამ სამრევლო სკოლების მდგომარეობის შესახებ დიდი და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სამოსწავლო რჩევაში.

ამის შემდეგ მ. პავლე დაწინაურებულ იქმნა უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან. 1888 წელში 1 თებერვალს მ. პავლე აღიკვეცა ბერად და სახელად ეწოდა აგათოდორი. ამავე თთვის 13 რიცხვს არქიმანდრიტი მ. აგათოდორი დაინიშნა ბალახნინსკის ეპისკოპოსად, ნიჟენოვგოროდის ვიკარად. დღეს ეს ყოვლად სამღვდელო აგათოდორი დანიშნულია სუხუმის ეპისკოპოსად.

## ლოცვა იესო ქრისტესი გეთსამანიის ბაღში.

სულ ყველას გაუგონია, ვინც ქრისტეს მცნებით ლაღობს:
ელეონის მთის მახლობლად გეთსამანიის ბაღის.
მაცხოვარმა მოციქულთა დარიგება განუცხადა,
თვით ამ ბაღში გაემგზავრა, სხვებს უბრძანა მოეცადა.
ბაღში შეუვნენ მოწაფენი იქ, სადაც ხეივანია,
პეტრე, ძენი ზებედესნი: იაკობ იოანეა.
ამათ ამცნო მაცხოვარმა: «იღვიძებდით, ილოცევდით,
არ შეხვიდეთ განსაცდელსა, ღმერთსა გულით თაყვანსცემდით.
სული გულსმოდგინე არის, ხოლო ხორცი უძლურია,
ადვილ მოვა გამცემელი, მოწაფე შინაურია».
შემდეგ წარსდგა მოშორებით, მუხლმოდრეკით დაიხარა,
ილოცა და ცხელი ცრემლი მან ქვეყნისთვის უხვად ღვარა
«მამაო! თუ შესაძლოა ამ ტანჯვას განმარიდე,
არა ვითარცა მე მნებავს, არამედ ვითარ შენაო".
იგი შეზარდა, შეწუხდა, იწყო დლეგა, ტანჯვა, ურვა,
დაბრუნდა და ნახა სამთა მოწაფეთა მოისურვა.
სამნი იგი მოწაფენი ნახა პირქვე მძინარენი,
აუვედრა: როგორ ვერ გასძელით «ჟამ-ერთ» ლოცვით მღვიძარენი.
კვალად მუხლი მოიყარა, იწყო კვალად იგივ ლოცვა,
ლონე მისდილს ვერ ძალედვა ცხარე ცრემლთა წმენდა-ხოცვა.
განაგრძო და აორკეცა მწარე ურვა, მწუხარება,
ტანჯვა მისი ჩვენის ხსნისთვის ზღვის ღელვასა ედარება.
ცხადათა სჩანს მაცხოვარსა, რომ ბუნება ქონდა ორი:
«ღვთაებრივი» მამისა და სულის წმიდის თანასწორი;
„კაცობრივი" ვით ადამის შთამომავალთა წესია,
სრული ბუნება კაცისა ვით ღმერთისა დაუწყესია.
„ღვთაებრივს" ესურს: კაცი, იხსნას ცოდვათაგან განამართლოს,
და ადამზედ მწარე წყევა დაატკბოს და დაათავლოს.
«კაცობრივი»: სწუხს და შფოთავს, მას სიკვდილი ეზარება,
სიკვდილი სჯობს თუ სიცოცხლე, ძნელი არის შედარება.
მაგრამ რადგან იგი იყო: «ღმერთი სრული, კაცი სრული»,
მან სიკვდილი დაითმინა ჩვენთვის, ჩვენთვის დასდვა სული.
უკვლის ამას მოწამეა გეთსამანიისა მტილი (ბაღი),
ნუ თუ იმას აწუხებდა, მხოლოდ: ტანჯვა და სიკვდილი?
არა, მისი მწუხარება სხვაცა იყო ათას ფერი:
ქვეყნის ხსნის და მშვიდობისთვის გული ჰქონდა ანთებული;
და ქვეყანას ასე ხედავს: გრძნობით სავსე კაცი არ ჰყავს,
უფლის მცნება დაუკარგავთ და ერთსაც არ დაუმარხავს.
ხალხი ყვირის: სამართალი ჯვარზე აცვით, დაისაჯოს!
ავაზაკი განუტევეთ, იცრუვკაცოს, ივარგოს!
ყურით ესმის, გულით გრძნობს უვიცი ხალხის გრიალსა,
სწუხს მართალი, უსამართლო ქვეყნის უკუღმა ტრიალსა.
მის შექმნილს გული დაუხშავს, თვალი ვერ გაუხელია,
ველარ უცვნია შემქმნელი მაცხოვარი და მხსნელია!
დაუკარგავს კაცს კაცური ქცევა და ღვთისსამსახური,
გამეფებულა, ბატონობს, მხოლოდ: მტრობა და მური...
უფრო ერის ამ სიკვდილმა გაუჩინა გულის რხევა,
ხოლო ამ დროს „ანგელოსი გამოუჩნდა, გაამხნევა".
წარვიდა და მან პირველი აღთქმა თვისი განამართლა,
ცოდვათაგან გამოგვიხსნა, გვაცხოვნა და განგვანათლა.

რაჟდენ საჯაიხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი ლოცვა.

იესო, მწყემსო კეთილო,
მცველო ქვეყნის და ცისაო,
ბრძენო და სამართლიანო,
მხსნელო ცოდვილ კაცისაო!

***

სიმართლის სასწორს შეგვედრი,
მაშორო ზაკვა-სიმრუდეს,
კეთილ გზაზე დამაყენო,
ავსცილდე სიავ-სიცუდეს.

***

შრომის მოყვარე გამხადე,
რომ ოფლით ვსჭამო პურია,
ჩემს სამშობლოს მამსახურე
არავის მქონდეს შურია.

***

სიმდიდრე ბევრი არ მინდა
საზრდო მიჩინე დღიური,
მხოლოდ სულით მყავ მაღალი
და ნიჭი მომეც ციური.

***

სანამ ვარ ამა სოფელში
ყველას უყვარდე ძმურადა,
კეთილი ბევრი დავსთესო,
რომ არ მახსენონ ცუდადა.

***

იესო პატიოსანო!
შეისმინე ლოცვა ჩემი,
რაცა გთხოვე, მომანიჭე,
გევედრები მონა შენი.

ვასილ მასხულია.

1891 წ.

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება *).

### ბოდბისი.

1615 ყოვლად სამღვდელო ბოდბელი ვასილი.
1592 ყოვლად სამღვდელო ბოდბელი მათეოს.
1642 ყოვლად სამღვდელო ბოდბელი დიასამიძე.
1721 ყოვლად სამღვდელო ბოდბელი ზაქარია.
ყოვლად სამღვდელო ბოდბელი ანოფრე.
1673 ყოვლად სამღვდელო ბოდბელი ციციშვილი ნიკოლოზ.

ამ ყოვლად სამღვდელოთაგან მიცემული წიგნი მებაჟობისა აქვს ბალიშვილს პაატას. თუ ინებებს მისი სიმაღლე მიერთმევა. აგრეთვე აქვს ხევის, ქვეხის, ხევის მებაჟობისა. 1)

---

1754 წ. მომებარა მე საამიშვილს ზაალის ყმას ბარძიმს ბატონის ბოდბელისაგან ორი თუმანი თეთრი ზაზას გამოსახსნელი. სეკტემბრის კდ. ქორონიკონს უნბ. 2)

---

### ანანური.

1776 წ. ბატონიშვილი არაგვის საერისთაოს მპყრობელი ლეონ გიბძანებ სახლთხუცესო ფარემუზ

---

1) დ. ფურცელაძეს ჩამოთვლილი ჰყავს ბოდბელები მე XVIII საუკ. გასულამდე. ჩვენს გუჯარში მხოლოდ ზემო მოყვანილი ბოდბელები ამოვიკითხე. ის თარიღი დავსვი, რომელიც დ. ფურცელაძეს აქვს აღნიშნული. ბოდბელი ონოფრე არ იპოვება დ. ფურცელაძის დაბეჭდილ გუჯარში. არც არის მოყვანილი ცნობა მებაჟეებზედ. ჩვენ ეს ცნობაც საყურადღებოდ მიგვაჩნია.

2) აქ მგონებ ტყვეობიდან ან ყმობიდგან გამოსახსნელ ფულზედ უნდა იყვეს ლაპარაკი. დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი.

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 6.

ნაზირო გოგიავ და ერთობით საერისთაოს მოხელენო და ჩვენგან გაგზავნილნი მოსაქმენი რომელნიც იყვნენ ყველას ეს ჩვენი ბძანება ასე გქონდესთ შეტყობილი რომ რომელი კაცი ამ სიაში სახელდობრივ სწერია ანანურთა ღვთის მშობლის შეწირულნი არიან ამათთან ხურა კაცს საქმე ნუ გაქვსთ და ნურცა რას საჩვენო სათხოვარში ნურას ფერში ნუ გარევთ რაც რომ გუჯრით ეკლესიის სამსახური აძესთ იმას უკლებრივ უნდა მსახურებდნენ ლაშქარ ნადირობის გარდა ჩვენი სამსახური ამათ არ აძესთა რა და არც ჩვენ ამათ ვმსახურებთ, თუ ვინიცობაა რამდენსამე წელიწადში ერთხელ საქართველოს საქვეყნო ხარჯი სხვა ეკლესიის შეწირულობა გლეხკაცთაც გარევენ იმ ხარჯში ესენიც თავიანთ შეძლებით უნდა გაერივნენ. ამას გარდა თუ სახელდობრივ მირჩევთ ჩვენგან არ ეთხოვება რა არას მოხელეს და მოსაქმეს ამათთან საქმე არა აქვსთ რა და ვერცარას გამოართმევენ ამათთან ნურც არავის სამოურაო აქვსთ ვისმე ხელი. ყველამ ასე იცოდეთ თუ ვინმე ამ ჩვენს ბძანებას გარდახდით და ე'ენი საჩვენო სათხოვარში გარიეთ დიდათ გარდაგახდევინებთ და ჩვენის შეცოდების მსგავსადაც გარდაახდევინებთ და თუ ვინმე ამათში ამოწყვეტილიყოს იმათი მამულიც ეკლესიისა არის რომ იმისი საჩვენოთ მოხმარება არ იქმნება ეს როგორც ვებძანებია ასე უნდა აღასრულოთ და თუ ვისმე ამათზე და ან ამათ სამოურაო საქმეზე სამართლიანი სიტყვა გქონდეთ ჩვენ მოგვახსენეთ. და პასუხი მოგეცემათ სამართლით. დეკემბრის 30 ქორონიკონს უჲდ. (ქვეით სწერია შემდეგი:)

არაგვის საერისთაოს წმინდის ღვთის მშობლის ტაძრისათვის ანანურს ძეკლთაგან რაც შეწირულობა ჰქონდა გუჯრით და ხელ ახლა მათის სიმაღლის სრულიად საქართველოს მეფის მეორის ირაკლისაგან დადებულის გუჯრით გაახლებულიყო თვითეულათ სახელდობრივ ამას ქვემოთ სწერია. ანანური მთით, შარით, წყლით წისქვილით ბაღით სახნავი უხნავით აქავ როსტია ნადირასალირა ნუნაშვილი სადისშვილი შედოსშვილი გიორგი ბასილაშვილი პაპუნა ზაქარიას შვილი იავანე და ხოსიტა გიგოიძე და დათუნა გიგოიძე ბერი თამაზა და გოჩიაშვილი. ქარის ხევის შედუკამენი მამიტა მისის მამულითა ბიჭიკა მისის მამულითა კიდევ ერთი კომლი მამული ნარიმანას შვილი ბერი ფსაძე პაპა თავისის მამულით და სახლის კაცებით ოქროს შვილი, ბერის შვილი, დემეტრე შლაგიძე, ნინიკა მისის მამულით. ჭამს ოთხი კომლი კაცი, ერთი გეთისშვილი პაპუნა მისის სახლის კაცებით კოდისშვილი გოჩია მისის სახლის კაცებით მესამე სულაბერიძე აბრამა მისის სახლის კაცებით და მეოთხე შაქაქური შატატა ესენი მთით ბარით სახლით და კარით ჭურმარნით, კალოსაბძლით სახნავით ველით და ვენახით წყალ წისქვილით სასამართლოს ქალით სათიბით და სამართლიანის სამძღვრით. [1]

არაგვის პირს ინაშვილი მღვდელი მახარობელი. ქვემო ხანდაგს ურია ქუთათელი იოსებ და ქუთათელი იაკობ და პაპუნა მათის მამულით. რისაც მქონებელი იყოს და ერთი ვენახი ნაზირის შვილი ნახვიდა და მისი შვილი გოდერძა ქარის ხევს ბრაჭული ღანძის შვილი ბერი, აქაკს ზოდიკე მღვდლის დებულობა ბანცური ღთისავარ ბერი ხელუზაური ბუჩასშვილი ლომი თავის სახლის კაცის ბაბარაძე მღვდელი იაკობ. სარიმაულის ნაქონი ვენახი გრიგოლისშვილი ჰქონდა და ახლა ჩვენ ისევ შევწირეთ.

ბატონისშვილი ვახტანგ გიბძანებ იასაულო მერმე რომელიც ბრძანებები სანატრელს ჩვენს ძმას ბატონისშვილს ლეონს ამ წერილით განუწესებია ანანურთა მღვთის მშობლისათვის შენ ახლავ უნდა დადგე და ასე (დასე) აღუსრულო და გარიგო მარიამობისთვის ქორონიკონს უო. ამისი გაურიგებლობა და აღუსრულებლობა დღეის იქით არა საქმით არ იქნება. [2]

---

### უდაბნოს ნათლიმც.

1738 ქ. ესე მცირედი შესაწირავი შემოგწირეთ ჩვენ ჩოლოყაშვილმან სალთ ხუცესმან გივიმან თქვენ პატიოსნის სულისა ჩვენისა მეოხს უდაბნოს ნათლის მცემლის ასე, რომე თქვენი საკადრისი არა არის რა და ქვენად შესაწევნელად, სულისა ჩვენისა სახსრადდა, მტერთა საძლეველად სახლთხუცესი მე მოვიდოდე ყოველს წელიწადს ათისთავსა მოგართმევდეთ და არას დაგავალებდესთ, სანამ ცოცხალი ვიყვნეთ არას დროს ეს ჩვენს სიცოცხლეში არ მოგიშალოთ ღვთის შეწევნით. ქორონიკონს უკვ აპრილის ე:.

ქ. მე გრიგოლსაც რაც შემიძლია ასე გემსახურო ვინემ ცოცხალი ვიყო ქორონიკონს ულ.

---

[1] გუჯრის გაახლების შესახებ ნახე ჩემი «ბატონყმობა საქართველოში» გვ. 11—12.

[2] ეს გუჯარი დ. ფურცელაძეს აქვს დაბეჭდილი.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

იმ სამძიმრის ტელეგრამების პასუხად, რომელნიც გაეგზავნა მის იმპერატორებითი უდიდებულესობას დიდს მთავარს მ ი ხ ე ი ლ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძეს მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრინა ო ლ გ ა თ ე ო დ ო რ ე ს ასულის გარდაცვალებისა გამო, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის დიდის მთავრის მ ი ხ ე ი ლ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს მისაგან მიიღეს პასუხად:

საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პალლადიმ:

ჩემმა მწუხარე სულმა სიხარულით წაიკითხა თქვენი ტელეგრამმა. გულით გმადლობ თქვენც და თქვენს სამწყსოსაც. დარწმუნებული ვარ, რომ მუდამ შეავედრებთ ღმერთს ჩემს დაუვიწყარს განსვენებულს მეუღლეს. იმედი მაქვს ღვთისა.

«მიხეილი».

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა:

გულით გმადლობთ თქვენ მხურვალე მონაწილეობისათვის. ვანდობ ჩემს თავს თქვენს ლოცვას.

«მიხეილი».

ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ:

გულით გმადლობთ თქვენ და გურია-სამეგრელოს მთელს სამღვდელოებას მხურვალე მონაწილეობისათვის. ვანდობ ჩემს თავს თქვენს ლოცვას.

«მიხეილი».

ტბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა:

საერთო გულის-ტკივილი საქართველოს სახელოვან თავად-აზნაურთა ჩემის უზომო მწუხარებისა გამო დიდად საგრძნობელია ჩემთვის. მრწამს, რომ თქვენი თანაგრძნობა გულითადია და ყველას გულითადვე მადლობას გიძღვნით.

«მიხეილი».

შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა უგანათლებულესმა თ. ბაგრატიონმა:

გულით გმადლობთ თქვენცა და შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობასაც სამძიმრის გამოცხადებისათვის. მრწამს, თქვენი გრძნობა მონაწილეობისა გულწრფელია.

«მიხეილი».

ტბილისის ქალაქის თავის მოადგილემ ბ. იზმაილოვმა:

დიდად მანუგეშა და მიშეღავათა ამ ჩემს გაჭირვებაში იმ გარემოებამ, რომ ჩემის საშობლო თბილისის ქალაქის მცხოვრებთ ისურვეს გვირგვინით შემკობა ჩემის დაუვიწყარის მეუღლის კუბოსი. გთხოვთ ჩემი გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემთვის მარად ძვირფასს თბილისის წარმომადგენელთა და მცხოვრებთა სამძიმრისათვის.

«მიხეილი».

* * *

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის წარდგენილობის თანახმად წარსული თვის მარტის 12 № 218, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ, თანახმად უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებულის 8 მაისს 1864 წელსა მართლ-მადიდებელ საეკკლესიო ძმობათა წესდების მეექვსე პარაგრაფისა, დაამტკიცა წესდება საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებული ძმობისა, რომელსაც მიზნად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს.

უმთავრესი დანიშნულება ძმობისა არის, რათა ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს და შეძლებისა და გვარ განაკარგოს სწავლის საქმე ამ სასწავლებელში. ამ მიზნით ძმობა ზრუნავს: ა) გამონახოს საშუალებანი, რომელთა შემწეობით სასწავლო ნივთებით და ფულით შემწეობა აღმოუჩინოს იმ მოწაფეებს, რომელნიც თავის ხარჯით იზრდებიან სასწავლებელში, ბ) შესაფერი ბინები უშოვნოს ღარიბ მოწაფეთა; მისცეს მათ საჭმელი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სარეცხი და სხ.; გ) მისცეს შემწეობა იმ მოწაფეებს, რომელნიც ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ ისურვებენ სასულიერო სემინარიაში წასვლას სწავლის გასაგრძელებლად.

თუ რამდენად სასარგებლოა ეს ძმობა, ამაზე შემდეგ №-ში მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს და მასთან ძმობის წესდებასაც დავბეჭდავთ.

* * *

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოხებლად ჩვენ მივიღეთ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის ბ. ვასილ ყიფიანისაგან რვა მანეთი, რომელიც შეუწირავს შემდეგ პირთა:

ვასილ ყიფიანს 3 მ.; სილოვან ხუნდაძეს 1 მ.; თომა მთვარელოვს 1 მ.; ვ. ვოლსკისას 1 მ.; მ. ჩინჩალაძეს 1 მ.; ს. დათეშიძეს 1 მ. წინეთ იყო 315 მ. 97 კაპ. დღეს არის სულ 323 მ. 97 კაპ.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ეკლესიების და მონასტრების ცარცვა-გლეჯა. ამ სამწუხარო მოვლენისათვის ყურადღება მიუქცევია უწმიდესს სინოდს და უთხოვნია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის განკარგულება მოახდინოს, რომ სოფლის საზოგადოებათ იზრუნონ ეკლესიების დაცვისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრს თანახმად უწმიდესი სინოდის განკარგულებისა, მიუწერია გუბერნატორებისათვის, რომ სოფლის საზოგადოებანი თანახმად საზოგადო დადგენილობის 177 და 1113 მუხლისა ვალდებულნი არიან, რომ რიგ-რიგობით უყარაულონ ეკლესიებს, ანუ ქირით დააყენონ განსაკუთრებული ეკლესიის ყარაულები, რომელთაც უნდა დაიცვან ეკლესიები მტარვალთა ხელისაგან. იმედია ეს გონივრული განკარგულება მალე მოვა სისრულეში.

“ * “

გალობის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ამას წინედ შეადგინა მთავარ-დიაკვანმა მ. იოსებ შარაბიძემ, უწმიდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს მიუღია სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლების ძირა კლასებში.

* * *

გურია-სამეგრელოს ეპარქიის შტატგარეშე მღვდელს საბა გაბუნიას უმაღლესად ებოძა ორმოცდა-ათი წლის მღვდლობის ხარისხში სამსახურისათვის წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი.

* “ *

უწმ. სინოდმა, განიხილა რა საშუალო სასწავლებელთა საღმრთო სჯულის პროგრამა, მისწერა საერო განათლების სამინისტროს, რათა სამინისტრომ ახლავე მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება, რომ ყველა გიმნაზიისათვის საკუთარი ეკლესია აიგონ. წინამძღვრად ამ ეკლესიებისა იქმნებიან საღმრთო სჯულის მასწავლებელნი მღვდელნი, რომელნიც მასწავლებლობასთან ერთად მოძღვრობასაც გაუწევენ გიმნაზიის მოწაფეთა. ამაზედ საერო განათლების მინისტრმა ყველა ოლქის მზრუნველს მისწერა, რომ ახლავე შეუდექით საქმეს და ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის თვითონ სასწავლებლის ხარჯით ეკლესიები ააგეთო, ხოლო სადაც არ იყოს ღონის-ძიება ეკლესიის აღსაგებად, დაუყოვნებლივ მომახსენეთო.

* „ *

სოფელს საქარაში ამ დღეებში გაცარცვეს მღვდელი ვ. ფერაძე. როგორც ამბობენ, ქურდებს წაუღიათ 8500 მანეთი. ეს მღვდელი უშვილოა და შეძლებაც კარგად ჰქონდა. ავაზაკების დასაჭერად ყოველივე ღონე მიღებული.

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

### სიტყვა,

თქმული ყოვლად სამღვდელო გაბრიელისაგან

დიდ-პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

Დღეს წმ. ეკლესია შეგვკრებს ჩვენ, ქრისტიანეთა, მოხსენებად და თაყვანის-ცემად ვნებათა ქრისტესთა ამ დღესა შინა, ერთი ჰაზრი უნებლიედ წარმოუდგება და უმეტესად განაკვირვებს გონებასა კაცისასა, ჰაზრი მას ზედა, თუ რაოდენი შრომა და ღვაწლი მიიღო მაცხოვარმან თავის თავზე ჩვენთვის და ჩვენ კი მცირესაცა შრომასა და ღვაწლსა არ ვითმენთ მისთვის; რაოდენი სიყვარული, რაოდენი მაგალითი გვიანდერძა მან ჩვენ და რა მცირესა ჰხედავს ჩვენს შორის განმზადებულებასა მიღებად მათდა და მადლობის გადახდად მათთვის.

Არა შესაძლებელ-არს მცირეთა სიტყვათა შინა აღწერად ყოველთა მათ, რაიცა ჰქმნა მაცხოვარმან ჩვენთვის. საშინელნი ტანჯვანი, რომელნი მან მოითმინა თვით ამ დღეს ჩვენისა სიყვარულისათვის, შეადგენენ ერთსა მხოლოდ ნაწილსა მისთა ღვაწლთა. შეიძლება ვსთქვათ, რომელ მაცხოვარი არათუ მხოლოდ მოჰკვდა ჯვარსა ზედა, არამედ მთელი მისი ცხოვრება განატარა მას ზედა. გარნა ნუ იფიქრებთ, ძმანო, რომელ იგი იტანჯებოდა ამ სოფელში რომელთამე ხორციელთა ნაკლულევანებათა გამო. მართალია, მას ხშირად არა ჰქონდა, სადა თავი მიედრიკა; იგი მოწაფეებითურთ იზრდებოდა მით, რასაც მიართმევდენ ერთგულნი მისნი მორწმუნენი; იგი ხშირად იმალებოდა მტერთაგან უდაბურთა ადგილთა შინა; გარნა ეს არ იყო მიზეზი მისისა მწუხარებისა: იგი იტანჯებოდა, მხედველი საცოდავისა კაცთა ნათესავისა მდგომარეობისა, დაცემისა, უმეცრებისა, სიცოდვისა. თუ კი ჩვენცა, რომელნი თვითონაც ცოდვილნი ვართ და საწყალნი, გვემძიმება და სამწუხაროდ გვიჩნს ხედვა კაცის ბუნების წახდენისა და დაცემისა, როგორღა არ შეწუხდებოდა უწმიდესი არსება, რომლისათვის თვით მცირე ცოდვა საძაგელ არს, მხედველი ულრმესისა კაცის ბუნების გაფუჭები-

ს და წახდენისა. ეს აწუხებდა და სწყლავდა გულსა მისსა ყოველთა დღეთა შინა ცხოვრებისა მისისათა. გარნა უკანასკნელთა ამათ დღეთა შინა, მან ბოლომდინ შესვა მწარე სასმელი ყოველთა ვნებათა და ტანჯვათა, არა უმიზეზოდ, ეტყოდა იგი მოწაფეთა თვისთა ვენახსა შინა გეთსამანიისასა: მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე. არა უმიზეზოდ სამგზის დაემხო იგი მიწასა ზედა წინაშე მამისა თვისისა მეტყველი: მამაო, უკეთუ არა შესაძლებელ არს თანა წარხდომად სასმელისა ამის, იყავნ ნება შენი. გარნა ნუ იფიქრებთ, რომ მას ეშინოდა ხორციელისა ტანჯვისა, ცემისა, ლურსმნისა, ნერწყვისა, ჯვრისა; არა! ესრედისა არსებისათვის, ვითარცა იყო მაცხოვარი ჩვენი, ხორციელნი ტანჯვანი მცირედ გამოსჩნდებიან წინაშე სულიერთა ტანჯვათა! მაცხოვარმან წინადვე უწყოდა, რომელ მოახლებულ არს დღე, რომელსა შინა მას ზედა აღიჭურვება ყოველი ბოროტება დაცემულისა კაცის ბუნებისა, როდესაც მტერნი მისნი ცხადად გამოაჩენენ სადამდინ მიიყვანა ცოდვამ კაცის ბუნება. ძველმან მტერმან, დამთესველმან კაცის გულსა შინა ცოდვისა და მტერობისა, მოიხმარა აქ ყოველნი თვისნი ხერხნი და საშვალებანი დათრგუნვად და მოსპობად სასუფეველისა ღვთისა, რომლისა დაფუძნებად მაცხოვარი მოვიდა ქვეყანასა ზედა. როგორ არ შეწუხდებოდა ვიდრე სიკვდილადმდე სული ქრისტესი, მხედველი საშინელთა მათ საქმეთა, რომელნი ჰქმნეს მტერთა მისთა.

უბედური იუდა ვერცხლში მისყიდავს მოძღვარსა და მეგობარსა თვისსა: ეს იყო მაცხოვრისათვის უმწარეს ლურსმანთა, რომელთა განსჭვალნეს ხელნი და ფერხნი მისნი.

ფარისეველთა და მოხუცებულთა ორგულთა, სჯულის სარწმუნოების ერთგულების სახისა ქვეშ, იხმარეს თვით უბნელესნი საშუალობანი დასჯად იესო ქრისტესსა: ეს უჩნდა მას უმეტეს მძიმედ, ვიდრე ცემანი და ნერწყვანი.

უმადლო ერი ურიათა, რომელსა მაცხოვარმან უყო ურიცხვნი კეთილნი საქმენი, რომელი გუშინ დღესასწაულობით მიეგება მას და უღაღადებდა: ოსანნა ძესა დავითისსა! დღეს კი, რათა სათნო ეყოს მთავართა და მოხუცებულთა, ჰყვირის: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე! ესრედი უმადლოება ხალხისა, ესრეთი დაუდგრომელობა მისგან გაბედნიერებულისა ერისა, ასწილ უმძიმეს იყო ჯვრისა, რომელი დასდვეს მხართა ზედა მისთა!

უმართლო მსაჯული პილატე განაჩენს მისთვის სასჯელსა სიკვდილისასა და მაშინვე თვითონ აღიარებს, რომ იგი არ ჰხედავს მის შორის არცა ერთსა ბრალსა; ესრედი დავიწყება ყოვლისა სიმართლისა და მართლ-მსაჯულებისა უბეტესად სტანჯვიდა სულსა მისსა, ვიდრე ეკლისა გვირგვინი, რომელი დასდვეს თავსა ზედა მისსა.

დასასრულ, მხეცური სასტიკობა მხედართა, რომელთა თავის შესაქცევად მიაჩნდათ ტანჯვა კაცისა უბრალოისა, დასუსტებულისა და ძლივ-ცოცხლისა, უმაგალითო ბოროტება ფარისეველთა და მოხუცებულთა, რომელნი ეცინოდენ ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა მომაკვდავსა, უგრძნობელობა ერთა, რომელნი, ხედვიდენ რა ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა, თავს იყრიდენ და ჰბასრობდენ მას, იმათ ყოველთა აღუწერელად შეავსეს სასმელი მისთა სალმობათა.

გარნა არა მიმხედველი ესრედთა უმაგალითოთა სულიერთა და ხორციელთა ტანჯვათა, არა მიმხედველი მისსა, თუ რა სახე მიიღო აქ კაცის ბუნებამან, მაცხოვარი არცა ერთს წამა არ შეარყევს სიყვარულსა თვისსა კაცთა ნათესავისადმი, არამედ ილოცავს: მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან!

აჰა რა ჰქნა მაცხოვარმან ჩვენთვის! და რას მოითხოვს იგი ჩვენგნით ამათ ყოველთა წილ? მოითხოვს მხოლოდ მას, რომელ მისი სწავლა და ყოველი მისი მაგალითი არ დარჩეს ჩვენთვის უსარგებლოდ, არამედ ვისარგებლოთ მით ჩვენისა განათლებისა და ბედნიერებისათვის. გარნა, საუბედუროდ, რა მცირესა ჰხედავს იგი ჩვენს შორის ერთგულებასა და მომზადებასა!

ჩვენ გვაკვირვებს, ჩვენ გვეძაგება იუდას ღალატობა და გაცემა; გარნა, ძმანო ჩემნო, ჩვენ კი არაორეს არ ვუღალატებთ მაცხოვარსა? ღალატობა არ არისა ყოველი ცოდვა, ყოველი დავიწყება მისისა სწავლისა? როდესაც ჩვენ, დამვიწყებელნი მისისა სიყვარულისა, ვცხოვრობთ და ვიქცევით წინააღმდეგ მისისა სწავლისა, ანუ ვღალატებთ და ვმტერობთ ერთი მეორესა, არ გვეახსოვნებთა მაშინ იმას იუდას ღალატობასა?

ბნელი ორგულება მწყემსთ-მთავართა და მწიგნობართა ურიათასა, სიძულვილი, მათი გაქვავება განაღვიძებენ ჩვენს გულში მწუხარებასა, გარნა ძმანო ჩემნო, საშინელი იგი ცოდვა ფარისევლობისა სრულიად მოისპობა ჩვენს, ქრისტიანეთა, შორის? ზოგიერთნი სიტყვანი და საქმენი რომელთამე ქრისტიანეთა არ გააცოცხლებენა გულსა შინა იესოსსა ტანჯვათა მათ, რომელნი მან მოითმინა ფარისეველთაგან!

საღმრთოსა წერილსა შინა აღმოვიკითხავთ ჩვენ, რომელ ქრისტიანე ცოდვის მოურიდებელი მეორედ ჯვარს აცვამს იესო ქრისტესა. საკვირველიც არ არის! შეუძლია გულგრილად უყუროს ცოდვათა ჩვენთა, რომელთა მოსპობისათვის მან ესოდენი მოითმინა? იტყვიან, რომ აქ ქვეყანაზე ყოველთა უდიდესი და უძლიერესი სიყვარული არის სიყვარული დედისა ნაშობისადმი თვისისა, რისთვის? მისთვის, რომ დედა-

სა ძვირად უღირს შობა და აღზრდა ძისა თვისისა. ჩვენი სულიერი შობა და განათლება მაცხოვარსა უღირდა გამოუთქმელ და აღუწერელ ტანჯვად; ამისთვის არცა ერთი დედა ქვეყანასა ზედა ისე არ ჰწუხს, მხედველი სიცუდისა და სიბოროტისა თვისისა შვილისა, როგორაც ჰწუხს მაცხოვარი მხედველი ჩვენისა უღირსებისა.

ურიათა, რომელთა სტანჯეს უფალი იესო ქრისტე, ერთი მაინც შესანდობელი მიზეზი ჰქონდათ, ის, რომელ მათ დაჯერებით არ იცოდნენ, ვინ იყო იგი; ჩვენ კი ვიცით და გვრწამს იგი და გვიყვარს, მაშასადამე ჩვენ არცა ერთი შესანდობელი მიზეზი არა გვექმნება და არა გვაქვს, როდესაც ვსტანჯავთ მას ჩვენი სიცოდვითა და ურჩებითა.

მაცხოვარო ჩვენო, ჩვენთვის ჯვარცმულო, შენვე განაცოცხლე ჩვენს შორის გრძნობა დიდისა შენისა მსხვერპლისა, რომელი შესწირე ჩვენთვის; შენვე შეგვეწიე; რათა იგი არ დარჩეს ჩვენთვის უსარგებლოდ, არამედ იყოს ჩვენდა სახედ ყოველთვის და ყოველგან.— ამინ.

## ნარევი

ერთხელ დონის ყაზახების ატამანი გამოჩენილი გრაფი პლატოვი გრაფ როსტოპჩინისას სვამდა ჩაის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სვამდა, თავის ჩვეულებისამებრ, რომს ჩაით. ამ დროს შემოვიდა ისტორიკოსი კარამზინი. გრაფ როსტოპჩინმა გააცნო ის პლატოვს.

— ძალიან სასიხარულოა ჩემთვის თქვენი გაცნობა, სთქვა პლატოვმა, მე ძალიან მიყვარს მწერლები, რადგან მათაც სმა უყვართ.

—

14 დეკემბრის არეულობის მეორე დღეს ხელმწიფე ნიკოლოზის სასახლეში გამოცხადდა ერთი მეტად დამსახურებული გენერალი, რომელსაც იმპერატორი დიდ პატივსა სცემდა. ამ გენერალს თან ახლდა ერთი ახალგაზრდა აფიცერი, რომელიც უეპოლეტოთ და უხმლოდ ქუდ მოხდილი მოჰყვებოდა გენერალს უკან. გენერალმა ითხოვა მოეხსენებიათ მისი უდიდებულესობისათვის, რომ მან მოიყვანა ერთი თანამონაწილე გუშინდელი სამწუხარო შემთხვევისა. გენერალი მაშინვე შეიყვანეს მეფის კაბინეთში.

— ხელმწიფევ, მოახსენა გენერალმა, რომელიც ძლივს იკავებდა ცრემლს. აი ერთი იმ უბედურთაგანი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია გუშინდელს შეთქმულობაში ვითხოვ, რომ შესაფერად დაისაჯოს [illegible] და დღეიდგან მე ჩემ შვილად აღარ ვრაცხ მას.

— გენერალო, უბრძანა იმპერატორმა, თქვენი შვილი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და ამიტომ მას შეუძლია გასწორდეს... მას დამნაშაობას ნუ გამოაცხადებ ჩემს წინაშე. მე არა მსურს მისი შეტყობა და მე თვითონ თქვენ გაძლევთ ნებას თქვენვე დასაჯოთ თქვენი შვილი.

—

ერთხელ იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე დასეირნობდა. ამ სეირნობის დროს მასთან მივიდა საგლოვიარო ტანისამოსში ჩაცმული ქალი და მტირალის ხმით მოახსენა ხელმწიფეს:

— ხელმწიფევ. მე მოსკოვიდამ გიახელით, რომ თქვენი უდიდებულესობის წინაშე ვითხოვო სამართლიანი მფარველობა. მე ვარ მქვრივი გენერლის ტ., რომელიც სამსახურში გარდაიცვალა. ჩემთვის და ჩემი შვილებისათვის ქმარს არაფერი არ დაუტოვებია. მე იაფად ვიყიდე ცოტაოდენი ადგილი, რომელიც ჩემი შრომით ისე გავაუმჯობესე, რომ ეხლა მეტად ღირს. უწინდელმა მეპატრონემ დამიწყო დავა და მოინდომა ხასყიდობის გაუქმება და მართლაც საქმე სენატში მოიგო. მე და ჩემი შვილები უნუგეშოთ დავრჩით; მე შეძლება არა მაქვს გადავიხადო საქმის საწარმოებელი, რომელიც სამსჯულოდ დამადვა გადასახადად.

— მომეცით მე ყველა ქაღალდები თქვენი საქმის შესახებ, მოწყალეთ მიუგო ხელმწიფემ: მე მზად ვარ ვიყო თქვენი შვილების მზრუნველად და, თუ საჭიროა, თქვენ ვექილადაც. განიხილა რა ყოველივე გარემოება საქმისა, იმპერატორმა მისწერა სახელმწიფო რჩევას, რომ მას ყურადღებით განეხილა აპელაციური საჩივარი ხსენებული ქალისა მოსკოვის სენატის განჩინების შესახებ.

ეს დადგენილობა, როგორც უკანონო, გაუქმებულ იქმნა; საქმის საწარმოებელი და ყოველივე ზარალი მიეცა მართალს მხარეს სენატორების ჯამაგირისაგან, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ უკანონო განჩინებას.

შინაარსი: საჭიროა თუ არა დღეს ჩვენში მღვდელმთავრების კრება საეკლესიო საქმეების გამო?— მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.—ორიოდე სიტყვა ზოგიერთ შტატ გარეთ დარჩენილი მღვდლების საქციელზე.— სოფ. ტაბაკინის სამრევლო სკოლის მასწავლებლის გარდაცვალებისა გამო.—ახალი მღვდელ-მთავარი სუხუმისა ყოვლად სამღვდელო აგათოდორი.—ლოცვა იესო ქრისტესი გეთსამანიის ბაღში.—ჩემი ლოცვა.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა.—ნარევი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 15 Апрѣля 1891 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хапановыхъ на Нѣмецкой ул.